ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6550173

ნომერი: AR1974753

თარიღი : 27.06.2023

გაცემის თარიღი : 07.07.2023

გაცნობის თარიღი : 07.07.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N6გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აპოლონ არდაშელია პ/ნ 62001004754
- სოხუმი ტრაფშის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6436780 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 27 ივნისს №AR1974753 განცხადებით მომართა აპოლონ არდაშელიამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 03

მაისის №6436780 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6436780 გადაწყვეტილებით სამსახური დაეთანხმა ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №6გ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.05.008.330) 60 კვ.მ-მდე ფართობის მქონე შენობა-ნაგებობის კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე მშენებლობის შესაძლებლობას.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6436780 გადაწყვეტილებით შეთანხმებულ, „კორექტირებული ფოტომონტაჟის“ ველში წარმოდგენილ ნახაზზე (მე-3 ფურცელი) არ არის დატანილი საპროექტო ობიექტის შიდა კონტურზე არსებული ჯამური ფართობი. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ნახაზი შეადარა შეთანხმებულ ნახაზს და დაადგინა, რომ მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელია, ვინაიდან, ნახაზზე დატანილი ზომები და ფართობები ერთმანეთთან შესაბამისია (შიდა კონტურზე 4.6X11.55=53.1 კვ.მ, ხოლო გარე კონტურზე 5.0X11.95=59.8 კვ.მ.).
ამასთან, გეგმარება არ იცვლება, ხდება მხოლოდ ნახაზზე, ექსპლიკაციებში, შიდა და გარე კონტურზე არსებული ჯამური ფართობების დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6436780 გადაწყვეტილებაში და აღნიშნული გადაწყვეტილებით შეთანხმებული „კორექტირებული ფოტომონტაჟის“ ველში წარმოდგენილი ნახაზი (მე-3 ფურცელი) ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული ნახაზით.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6436780 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 03 მაისის №6436780 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.